ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 1064/01
29/01/2020

1064-01-2-202001291358

შპს „მშენებელი 2019“-ს
მის: ქ. ბორჯომი, შ. რუსთაველის ქ. N53

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 1 ნოემბრის N15682 განცხადება, რომელიც ეხება ხაშურის მუნიციპალიტეტში შპს „მშენებელი 2019“-ს ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ის ანგარიშს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე 2019 წლის 13 დეკემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით სოფ. გომის საზოგადოებრივი ცენტრის შენობაში ჩატარდა დაგეგმილი პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. განხილვას ესწრებოდნენ როგორც სამინისტროს, შპს „მშენებელი 2019“-ს, საკონსულტაციო კომპანია „ეკოლცენტრის“ და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ისე სოფ. აგარების მოსახლეობა. საჯარო განხილვის სხდომაზე მოსახლეობისგან გამოიკვეთა კატეგორიული წინააღმდეგობა აღნიშნული პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ასევე, მოსახლეობამ შპს „მშენებელი 2019“-ს წარმომადგენელს შესთავაზა ტერიტორიის ალტერნატივად სოფლიდან მოშორებით არსებული მიწის ნაკვეთები. ამასთან, გაცნობებთ, რომ 2019 წლის 18 დეკემბერს N18537 წერილით სამინისტროში აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფ. აგარების მოსახლეობის განცხადება. აღნიშნულ განცხადებაში, მოსახლეობა სოფელში მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობებით გამოწვეული ზემოქმედებიდან გამომდინარე და ატმოსფერული ჰაერის არსებული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს სამინისტროს მხრიდან შესაბამის რეაგირებას.

გთხოვთ, განიხილოთ სოფ. აგარების მოსახლეობის მიერ დასმული საკითხი და სამინისტროში წარმოადგინოთ შესაბამისი დასაბუთება. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს განახლებული გზშ-ის ანგარიში, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ (მათ შორის მოსახლეობის მხრიდან საჯარო განხილვაზე შემოთავაზებული ტერიტორიები), შესაბამისი დასაბუთებით.

ასევე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს რიგ ხარვეზებს, კერძოდ:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია დასახლებულ ტერიტორიაზე მტვრის კონცენტრაციის შესამცირებლად განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ღონისძიების, კერძოდ, სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული გამწვანებითი ღონისძიებების შესახებ;

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

- გზშ-ს ანგარიშში გვ. 84 მოცემულია, რომ საწარმოში დასაქმდება 12 ადამიანი, გვ. 101-ზე კი მითითებულია, რომ საწარმოს ბიზნეს-გეგმის გათვალისწინებით მოხდება 9 ადამიანის დასაქმება. შესაბამისად, ანგარიშში არ არის გათვალისწინებული, სკოპინგის დასკვნაში მოთხოვნილი ინფორმაცია, დასაქმებულთა ზუსტი რაოდენობის შესახებ;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ტერიტორია შპს „გაბის“ საკუთრებაშია და იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს შპს „მშენებელი 2019“-ს. შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას შპს „მშენებელი 2019“-ს მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. აგარების მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის საწარმოს პროექტზე გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით იმსჯელებს მას შემდეგ, რაც შპს „მშენებელი 2019“ კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს განახლებული გზშ-ის ანგარიშის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენას ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით.

დანართის სახით გიგზავნით ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფ. აგარების მოსახლეობის ერთობლივ განცხადებას.

დანართი: 4 (ოთხი) გვერდი.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე